მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
მონეტა ექსპრეს ჯორჯია
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2017

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში..... i
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....ii-v

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება..... 8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... 10-48

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მონეტა ექსპრეს ჯორჯიას“ (შემდგომში - „მისო“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში მისოს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- მისოში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს მისოს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისოს ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- მისოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2018 წლის 20 ივნისს:

გენერალური დირექტორი ალეკო ბაღდავაძე

ფინანსური დირექტორი ნუგზარ გიორხელიძე

RSM

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str.
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მისო "მონეტა ექსპრეს ჯორჯიას" მფლობელებს და მენეჯმენტს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მონეტა-ექსპრეს ჯორჯიას" თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება").

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ მისოს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის"* ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს მისოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მისოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან მისოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგაწზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ მისოს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა მისოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება მისო უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

20 ივნისი 2018

RSM Georgia

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	5	1,245,739	1,272,183
საპროცენტო ხარჯი	5	(613,349)	(654,374)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**5**	**632,390**	**617,809**
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12	(137,331)	8,752
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		**495,059**	**626,561**
შემოსავალი ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	6	270,324	291,381
მოგება ვალუტებით ვაჭრობიდან	7	560,948	465,489
შემოსავალი ჯარიმებიდან	22	233,059	143,870
საოპერაციო ხარჯები	8	(1,042,467)	(861,873)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		10,745	10,043
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	9	24,159	126,953
მოგება დაბეგვრამდე		**551,827**	**802,424**
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(83,747)	(98,774)
წლის მოგება		**468,080**	**703,650**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**468,080**	**703,650**

გენერალური დირექტორი ალეკო ბაღდავაძე

ფინანსური დირექტორი ნუგზარ გიორგელიძე

შპს მისო „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	161,207	132,121
გაცემული სესხები	12	5,179,193	5,601,624
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	13	432,549	130,744
სხვა აქტივები		9,850	46,515
საგადასახადო აქტივი		31,738	33,041
გადავადებული საგადასახადო აქტივი	17	3,119	731
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,118,626	1,194,219
სულ აქტივები		**6,936,282**	**7,138,995**
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	15	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება		2,105,954	1,871,820
სულ კაპიტალი		**2,355,954**	**2,121,820**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	4,577,673	5,012,696
სხვა ვალდებულებები		2,655	4,479
სულ ვალდებულებები		**4,580,328**	**5,017,175**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**6,936,282**	**7,138,995**

გენერალური დირექტორი ალეკო ბაღდავაძე

ფინანსური დირექტორი ნუგზარ გიორხელიძე

შპს მისო „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრისთვის		**250,000**	**1,453,433**	**1,703,433**
წლის მოგება		-	703,650	703,650
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	**703,650**	**703,650**
გადახდილი დივიდენდები - 2015 წლის საბოლოო		-	**(285,263)**	**(285,263)**
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის		**250,000**	**1,871,820**	**2,121,820**
წლის მოგება		-	468,080	468,080
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	**468,080**	**468,080**
გადახდილი დივიდენდები - 2016 წლის საბოლოო		-	**(233,946)**	**(233,946)**
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის		**250,000**	**2,105,954**	**2,355,954**

გენერალური დირექტორი ალეკო ბაღდავაძე

ფინანსური დირექტორი ნუგზარ გიორხელიძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		551,827	802,424
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ანარიცხი	12	137,331	(8,752)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	11	520	2,469
ცვეთა და ამორტიზაცია	8	34,437	26,146
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებით მიღებული მოგება	9	(24,159)	(126,953)
საპროცენტო ხარჯი	5	613,349	654,374
საპროცენტო შემოსავალი	5	(1,245,739)	(1,272,183)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**67,566**	**77,525**
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება:			
გაცემული სესხები	12	280,970	3,341
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	13	(301,805)	(1,911)
სხვა აქტივები		36,665	(45,628)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება):			
სხვა ვალდებულებები		(521)	4,325
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		**82,875**	**37,652**
გადახდილი მოგების გადასახადი	10	(108,799)	(183,125)
მიღებული პროცენტი	5,12	1,249,869	1,252,380
გადახდილი პროცენტი	16	(585,696)	(649,479)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**638,249**	**457,428**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(64,043)	(35,700)
საინვესტიციო საქმიანობის შედეგად გასული წმინდა ფულადი სახსრები		**(64,043)**	**(35,700)**

ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
მიღებული სესხები	16	(462,676)	(9,755)
გადახდილი დივიდენდები	15	(233,946)	(285,263)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(696,622)**	**(295,018)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	14	46,823	56,684
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)		(75,593)	183,394
ნაშთი წლის დასაწყისში		**1,194,219**	**1,010,825**
ნაშთი წლის ბოლოს		**1,118,626**	**1,194,219**

გენერალური დირექტორი ალეკო ბაღდავაძე

ფინანსური დირექტორი ნუგზარ გიორხელიძე

1 შესავალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „მონეტა-ექსპრეს ჯორჯია“ („მისო“) იურიდიულ პირად რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2008 წლის 15 მაისს). მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2008 წლის 13 ივნისს.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგი ფიზიკური პირები იყვნენ მისოს მფლობელები:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ზვიად გუბელაძე	50%	50%
გიორგი ახვლედიანი	40%	40%
ზურაბი ახვლედიანი	10%	10%
სულ	100%	100%

მისოში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 54 თანამშრომელი (2016: 51).

ძირითადი საქმიანობა. მისოს ძირითადი საქმიანობაა ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მიკრო სესხებისა (ერთ მსესხებელზე 50,000 ლარამდე) და იპოთეკური სესხების (ერთ მსესხებელზე 50,000 ლარამდე) გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. მისოს სარეგისტრაციო მისამართი არის: საქართველო, ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი 59/14.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში („ლარი“).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი- 2.5922 ლარი (2016: 1 აშშ დოლარი - 2.6468 ლარი; 1 ევრო - 3.1044 ლარი (2016: 1 ევრო -2.7940 ლარი;).

2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საოპერაციო გარემო

მისო მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველო კვლავ აჩვენებს კონკრეტულ დამოკიდებულებას განვითარებად, ზრდად ბაზარზე. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა განიცდის სხვადასხვა სახის განმარტებების ზეგავლენას და ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი კომპანიების წინაშე მდგომი გამოწვევების წარმოქმნას.

საქართველოს შემდგომი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ შედეგებთან ერთად.

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს მისოს საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგრიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. მისოს მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

მისო მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მისოს რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი საფუძვლები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივისა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმედოდ რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც პროდუქტი კვოტირებული ფასით ინდივიდუალური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, რომელიც არის ორგანიზაციის მფლობელობაში. ასეა მაშინაც კი თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისად საიმედოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე. იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მიხედვით შექმნილი მოდელები ან იმ საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია.

შეფასების მეთოდების გამოყენებას შეიძლება დასჭირდეს დაშვებები, რომელიც არ ეფუძნება ბაზრის მონაცემებს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია განმარტებითი შენიშვნები, თუ რომელიმე დაშვების ცვლილება გამოიწვევს მოგების, შემოსავლის, აქტივების და ვალდებულებების ჯამის არსებით შეცვლას. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში(დონეები) არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: (i) პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. (ii) მეორე დონეზე წარმოდგენილია იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს. და (iii) იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკვოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ისტორიული ღირებულება არის გადახდილი ფულის ან ფულადი ეკვივალენტების თანხა ან შეძენის დროს აქტივის შესაძენად გაცემული სხვა ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება და მოიცავს ტრანზაქციის ხარჯებს. თვითღირებულებით გაანგარიშება გამოიყენება მხოლოდ იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციების მიმართ, რომელთაც არ აქვთ კვოტირებული საბაზრო ფასი და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ გაანგარიშება შეუძლებელია.

ტრანზაქციის ღირებულება არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო და მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ღირებულება არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური

საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია (იხ. შემოსავლების და ხარჯების აღიარების პოლიტიკა).

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს. ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში (“რეგულარული” ყიდვა-გაყიდვის გარიგებები), აღირიცხება გარიგების დღეს, რომელიც ის დღეა, რომელზეც მისო კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა მისო გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

გაცემული სესხები და მოთხოვნები. კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც მისო გასცემს თანხას კლიენტზე არაკვოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის

საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ მისო განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც მისო განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის გამოწვეული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული დაყოვნების გამო;

- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მისოს მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;

- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;

- არსებობს უარყოფითი ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან

- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებად. ეს მახასიათებლები მოიცავს აქტივთა ჯგუფების მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას, რომელიც აჩვენებს მსესხებლების უნარს ყველა ვადადამდგარი თანხის დაფარვა განახორციელონ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო პირობების შედეგად მისაღები ფულადი სახსრების და ხელმძღვანელობის წარსული გამოცდილების საფუძველზე გაკეთებული შეფასებით, ზარალის შემთხვევის შედეგად თუ რა ოდენობა სესხებისა მოხვდება ვადაგადაცილებაში და რამდენად წარმატებულად მოხდება ვადაგადაცილებული ოდენობის დაფარვა. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის

მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორიცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახვას ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. მისო ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) მისომ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ცვეთის დარიცხვა წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდით, წლიური 20%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

არამატერიალური აქტივები. მისოს არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. განვითარების ხარჯები, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იდენტიფიცირებულ და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც მისო აკონტროლებს, აისახება არამატერიალურ აქტივად, თუ ითვლება, რომ მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ჯამი აღემატება ხარჯებს. კაპიტალიზირებული დანახარჯები მოიცავს პროგრამული განვითარების გუნდის საშტატო დანახარჯებს და ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გაღებისას. კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს ამორტიზაცია ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 5 წელს შეადგენს.

საოპერაციო იჯარები. როდესაც მისო არის მოიჯარე იჯარაში, რომელიც არ ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის მეიჯარიდან მისოსთვის გადაცემას, მთლიანი გადახდილი საიჯარო თანხები აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

მიღებული სესხები. სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისისაგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

არაპროგნოზირებადი საგადასახადო მდგომარეობა. მისოს არაპროგნოზირებადი საგადასახადო მდგომარეობა ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმძღვანელობის აზრით სავარაუდოდ არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების

დაკისრებას, თუ პოზიციები სადაო არ გახდება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. ასეთი შეფასება ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და ასეთ საკითხებზე ნებისმიერი ცნობილი სასამართლოს ან სხვა განჩინებას. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები, აღიარებულია ხარჯებად ხელმძღვანელობის მიერ მათი საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად.

დივიდენდები. დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ეს მეთოდი საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილის სახით გადაავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის მიღებულ ან გადახდილ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯის და ყველა სხვა პრემიის ან ფასდაკლების განუყოფელი ნაწილი.

თუ საეჭვო გახდება სესხების და სხვა სავალო ინსტრუმენტების ამოღება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი მისაღები ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებამდე და ამის შემდეგ საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკაუნტის აქტივების იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განხორციელებისთვის, რომელიც გამოყენებული იყო გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად.

ყველა სხვა მოსაკრებლის, საკომისიოს და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების მითითებით, რომელზეც დარიცხვა ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მთლიანი გასაწევი მომსახურების პროპორციულად.

მფლობელთა კაპიტალი. მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება მისოს დამფუძნებლების გადაწყვეტილებით.

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება. მისოს საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები სუბიექტის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიში პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. მონეტარული აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება-ზარალი (ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით) აღიარებულია მოგება-ზარალში. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება არაფულად პუნქტებთან დაკავშირებით, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტებისთვისაც.

გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად მიღებული ცვლილებები სამართლიანი ღირებულებით წარდგენილ წილობრივ ინსტრუმენტებში აღირიცხება როგორც სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვის ნაწილი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების გადაყვანისთვის იყო: 1 აშშ დოლარი =2.5922 ლარი (2016: 2.6468 ლარი) 1 ევრო = 3.1044 ლარი (2016: 2.7940 ლარი).

ურთიერთდაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვაზე, და გამიზნულია დარეგულირდეს ნეტო საფუძველზე ან ერთრდოულად მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

4 ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მისოს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები მისოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. მისომ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ბასს 28-ში შესული ცვლილებები (2014-2016 პერიოდის ფასს სტანდარტების ყოველწლიური ცვლილებები, გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ნებადართულია ადრეული გამოყენება), აზუსტებს:

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციების, ასევე ინვესტიციების ერთობლივი საქმიანობაში, რომელიც განხორციელებულია ვენჩურული კაპიტალის მქონე, საერთო ფონდების, ან სხვა მსგავი ტიპის ორგანიზაციების მიერ, უფლება აქვთ თითოეული ზემოთმოხსენებული ინვესტიცია თავდაპირველი აღიარებისას აღიაროს სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით. ცვილებებს არ მოუხდენია გავლენა მისოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40-ში შესული ცვლილებები (გამოცემულია 2016 წლის დეკემბერში) - ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან/და პერიოდის შემდეგ (ნებადართულია ადრეული გამოყენება), განმარტავს, რომ საინვესტიციო ქონების კლასიფიკაცია სხვა მუხლებში, ან პირიქით სხვა მუხლებიდან საინვესტიციო ქონებაში კლასიფიკაცია მხოლოდ მაშინ უნდა განხორციელდეს (მათ შორის იმ აქტივებისა რომლებიც არის მშენებლობის და განვითარების სტადიაში) როდესაც არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ქონები გამოყენების შინაარსის ცვლილება მოხდა. ცვილებებს არ მოუხდენია გავლენა მისოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-2 კლასიფიკაცია და შეფასება წილობრივი გადახდების ტრანზაქციებზე (გამოცეშვებული 2016 წლის ივნისში). ცვლილებები, ეხება 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს, რომელიც განმარტავს ვესტირების და არავესტირების ეფექტებს აქციაზე დაფუძნებული გადახდის(ადგ) ნაღდი ფულით ანგარიშსწორებაზე, (ადგ)-ს აღრიცხვისას ნეტო

საგადასახადო თვისებაზე მოგების გადასახადის ვალდებულების თვალსაზრისით და (ადგ)-ს პირობების მოდიფიკაციაზე, რომელიც უცვლის ტრანზაქციას კლასიფიკაციას ნაღდ ფულზე დაფუძნებულიდან კაპიტალზე დაფუძნებულზე. მოსალოდნელი არაა, რომ ზემოთაღნიშნულს მატერიალური ეფექტი ექნება მისოს ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს-4-ში სახელწოდებით ფასს-9 ფინანსური ინსტრუმენტების გავრცელება ფასს-4 სადაზღვევო კონტრაქტებზე (გამოშვებული 2016 წლის სექტემბერში) ცვლილებების მიხედვით კომპანიები რომლებიც უშვებენ სადაზღვევო კონტრაქტებს აქვთ უფლება შემოსულობა ან ზარალი აღიარონ - სხვა სრულ შემოსავალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მერყეობა რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ფასს-9-ის გავრცობამ ფასს-4-ზე პროექტდება კომიტეტის მიერ. ასევე კომპანიებს, რომელთა აქტივობები განსაკუთრებულადაა დაკავშირებული სადაზღვევო საქმიანობასთან დროებითი გამონაკლისის სახით შეეძლებათ არ გადავიდნენ ფასს-9-ზე (2021 წლამდე) და ამგვარად დარჩნენ ბასს-39-ზე. მისოს არ გამოუშვია სადაზღვევო კონტრაქტები, შესაბამისად ცვლილებებს არ ექნება ეფექტი მისოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 10 და ბასს 28-ში „ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების შეძენა/ გაყიდვა“ (გამოიცა 2014 წლის სექტემბერში) - ცვლილებები, ეხება ორ სტანდარტს შორის არსებულ შეუთავსებლობას და განმარტავს, რომ მოგება ან ზარალი სრულად უნდა იქნას აღიარებული, როდესაც ტრანზაქციაში ჩართულია ბიზნესი, და ნაწილობრივად, თუ მასში ჩართულია აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს. ამ ცვლილების ამოქმედების დღე თავდაპირველად იყო 2016 წლის 1 იანვარი, მაგრამ გადაიდო განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მისი ადრეული გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია. აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება გავლენა მისოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“(გამოიცა 2014 წლის ივლისში) – ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავლში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსური ვალდებულებებისთვის, ფასს 9-ის ყველა მნიშვნელოვანი გავლენა დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, როდესაც შერჩეულია სამართლიანი ღირებულების მეთოდი: სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც უკავშირდებოდა აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში), გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული იწვევს სააღრიცხვო შეუსაბამობას.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 უზრუნველყოფს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს, რომელიც დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე

ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის, ფასს 9 შეიცავს არსებით შესწორებებს, რომელთა თანახმად ფინანსურ ანგარიშგებებში უკეთ აისახება რისკის მართვის საქმიანობები, როდესაც ხდება ფინანსური და არაფინანსური რისკის ჰეჯირება.

აღიარების შეწყვეტის დებულებები თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი ბასს 39-იდან.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ფასს 9 გამოყენებული იქნება მისოს ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ გავლენა ექნება მისოს ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. ამ ეტაპზე მისო არის შეფასების პროცესში თუ რა გავლენას მოახდენს ფასს 9-ზე გადასვლა მისოს ფინანსურ მდგომარეობაზე,თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ დასრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან დაწყებულ და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფაისკ 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ: როდის ხდება შემოსავლის აღიარება, ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები, და სხვ.). დირექტორების მოლოდინით, ფასს 15 გამოყენებული იქნება მისოს ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ახალი სტანდარტის გამოყენებას სავარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება მისოს შემოსავლებთან დაკავშირებით აღრიცხულ მონაცემებზე. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნალკები და დაბალ-ღიებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს მისო, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული

გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადეგ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპუებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღირიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ მისოს არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი მისოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5 საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

	2017	2016
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხებიდან	1,149,153	1,137,793
საპროცენტო შემოსავალი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებიდან	88,511	133,452
საპროცენტო შემოსავალი უგირავნო სესხებიდან	8,075	938
სულ საპროცენტო შემოსავლები	**1,245,739**	**1,272,183**
საპროცენტო ხარჯები		
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(247,514)	(316,425)
საპროცენტო ხარჯი ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	(365,835)	(337,949)
სულ საპროცენტო ხარჯები	**(613,349)**	**(654,374)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**632,390**	**617,809**

წლის განმავლობაში მიღებულმა პროცენტმა შეადგინა 1,249,869 ლარი (2016: 1,252,380 ლარი).

6 შემოსავალი ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან

	2017	2016
შპს "ინტელ ექსპრეს ჯორჯია"	208,952	210,371
სს "ლიბერთი ბანკი"	28,484	81,010
სს თიბისი ბანკი	32,888	-
სულ შემოსავალი ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	**270,324**	**291,381**

შემოსავალი შპს „ინტელ ექსპრეს ჯორჯიას“ გზავნილებიდან მოიცავს საკომისიოს ფულად გზავნილებზე საქართველოსა და საბერძნეთს შორის, საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, ასევე მოიცავს საკომისიოს საქართველს ტერიტორიაზე ფულად გზავნილეზე.

შემოსავალი სს „ლიბერთი ბანკის“ გზავნილებიდან მოიცავს საკომისიოს ფულად გზავნილებზე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის გზავნილებზე.

შემოსავალი სს “თიბისი ბანკის“ გზავნილებიდან მოიცავს საკომისიოს ფულად გზავნილებზე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის გზავნილებზე.

7 მოგება ვალუტებით ვაჭრობიდან

	2017	2016
მოგება ლარის გაყიდვით ევროში	221,150	256,669
მოგება ლარის გაყიდვით აშშ დოლარში	232,691	203,689
წმინდა მოგება ვალუტებით ვაჭრობის სხვა ტრანზაქციებიდან	107,107	5,131
სულ მოგება ვალუტებით ვაჭრობიდან	**560,948**	**465,489**

8 საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
თანამშრომელთა ხარჯი	(657,117)	(523,143)
საოფისე იჯარა	(171,625)	(130,003)
ბანკის საკომისიო	(10,729)	(42,028)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34,437)	(26,146)
მანქანის იჯარა	(32,154)	(22,314)
კომუნიკაცია	(18,514)	(18,575)
უსაფრთხოება	(17,640)	(15,240)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(12,000)	(12,000)
საკონსულტაციო მომსახურება	(3,540)	(17,260)
რეკლამის ხარჯი	(534)	(1,010)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(84,177)	(54,154)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(1,042,467)**	**(861,873)**

9 უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი

	2017	2016
კურსთა შორისი სხვაობის მოგება	1,015,633	1,730,838
კურსთა შორისი სხვაობის ზარალი	(991,474)	(1,603,885)
უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	**24,159**	**126,953**

10 მოგების გადასახადი

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	(86,135)	(108,799)
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი (იხ. შენიშვნა 17)	2,388	10,025
სულ მოგების გადასახადი	**(83,747)**	**(98,774)**

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15% (2016: 15%)
2017 წლის განმავლობაში გადახდილმა მოგების გადასახადმა შეადგინა 108,799 ლარი.

საგადასახადო ხარჯის შეჯერება	2017	2016
წლის სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე	551,827	802,424
კორპორაციის გადასახადის დანარიცხი 15% განაკვეთით	(82,774)	(120,364)
კორექტირებები:		
მუდმივი სხვაობა	1,415	24,398
დროებითი სხვაობა	(2,388)	(2,808)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	**(83,747)**	**(98,774)**
ეფექტური საგადასახადო განაკვეთი	15%	12%

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვრიდან (მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის - 2019 წლის 1 იანვრიდან), რომელიც ასევე ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და ლომბარდებს. ახალი კოდექსი ეხება მოგების გადასახადის აღიარებასა და შეფასების პრინციპებს, რომელიც გავლენას ახდენს ასევე მისოს გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებზე/ვალდებულებებზე.

კომპანიები არ გადაიხდიან მათ მოგებაზე მოგების გადასახადს (მიიღება 2017 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო კავშირებისთვის, სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის) სანამ ეს მოგება არ

განაწილდება დივიდენდის ფორმით ან სხვა ფორმით. მოგების გადასახადი, 15%, გადასახდელია უცხოური არარეზიდენტი იურიდიულ პირებისა და უცხოელი და ადგილობრივი ფიზიკურ პირებისთვის დივიდენდის გადახდის დროს, იქნება ეს სავალდებულო თუ არასავალდებულო ფორმით. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადასახდელი დივიდენდები გათავისუფლებულია გადასახადისგან. გარდა დივიდენდების განაწილებისა, გადასახადი გადასახდელია დანახარჯებზე ან სხვა გადასახდელებზე, რომელთა წარმოქმნა არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობებს, საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდებას/გაწევას და სახსრების გადარიცხვას და წარმომადგენლობის ხარჯებს, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას იმავე თვეში როცა ისინი წარმოიქმნა.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, აქტივებზე/ვალდებულებებზე გადავადებული გადასახადი ხელახლა ფასდება იმ მოცულობამდე, რომელთა გამოყენება უნდა მოხდეს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში.

11 ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება	**ლარი**	**ლარი**
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**203,900**	**203,900**
შეძენა	35,700	35,700
ჩამოწერა	2,614	2,614
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**236,986**	**236,986**
შეძენა	64,043	64,043
ჩამოწერა	2,869	2,869
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**298,160**	**298,160**
ცვეთა და გაუფასურება		
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**78,971**	**78,971**
ცვეთა წლის მანძილზე	26,039	26,039
ჩამოწერილი ძირითადი საშუალების დაგროვილი ცვეთა	145	145
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**104,865**	**104,865**
ცვეთა წლის მანძილზე	34,437	34,437
ჩამოწერილი ძირითადი საშუალების დაგროვილი ცვეთა	2,349	2,349
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**136,953**	**136,953**
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**124,929**	**124,929**
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**132,121**	**132,121**
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**161,207**	**161,207**

12 გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	5,014,860	5,272,659
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	312,040	512,184
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - საბლანკო სესხები	28,262	6,178
მინუს: სესხების გაუფასურების ანარიცხი	(175,969)	(189,397)
სულ გაცემული სესხები	**5,179,193**	**5,601,624**

მომხმარებელზე გაცემული სესხების გადანაწილება ეკონომიკურ სექტორის მიხედვით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
	ნაშთი	%	ნაშთი	%
ფიზიკური პირები				
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	5,014,860	93.60%	5,272,659	91.05%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	312,040	5.84%	512,184	8.84%
საბლანკო სესხები	28,262	0.56%	6,178	0.11%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	**5,355,162**	**100%**	**5,791,021**	**100%**
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**5,355,162**		**5,791,021**	

2017 წელს სესხების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა შემდეგია:

	ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	საბლანკო სესხები	სულ
გაუფასურების ანარიცხი 2017 წელი 1 იანვარი	**(31,033)**	**(157,926)**	**(438)**	**(189,397)**
ჩამოწერები წლის განმავლობაში	116,731	34,028	-	150,759
წლის განმავლობაში სესხების ანარიცხის ცვლილება	(121,579)	(15,472)	(280)	(137,331)
გაუფასურების ანარიცხი 2017 წელი 31 დეკემბერი	**(35,881)**	**(139,370)**	**(718)**	**(175,969)**

2016 წელს სესხების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა შემდეგია:

	ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	საბლანკო სესხები	სულ
გაუფასურების ანარიცხი 2016 წელი 1 იანვარი	**(82,411)**	**(182,518)**	**-**	**(264,929)**
ჩამოწერები წლის განმავლობაში	66,780	-	-	**66,780**
წლის განმავლობაში სესხების ანარიცხის ცვლილება	(15,402)	24,592	(438)	**8,752**
გაუფასურების ანარიცხი 2016 წელი 31 დეკემბერი	**(31,033)**	**(157,926)**	**(438)**	**(189,397)**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილი სესხების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

	ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	საბლანკო სესხები	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	28,262	**28,262**
სესხები რომლებიც უზრუნველყოფილია:				
-უძრავი ქონებით	-	312,040	-	**312,040**
-ძვირფასი ლითონებით	5,014,860	-	-	**5,014,860**
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**5,014,860**	**312,040**	**29,397**	**5,355,162**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილი სესხების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

	ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	საბლანკო სესხები	სულ
არაუზრუნველყოფილი სესხები	-	-	6,178	**6,178**
სესხები რომლებიც უზრუნველყოფილია:				
-უძრავი ქონებით	-	512,184	-	**512,184**
-ძვირფასი ლითონებით	5,272,659	-	-	**5,272,659**
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**5,272,659**	**512,184**	**6,178**	**5,791,021**

სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	საბლანკო სესხები	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული				
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ახალი კლიენტები	2,513,390	16,384	20,682	**2,550,456**
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - 1 წელზე მეტი საკრედიტო ისტორიით	1,896,253	100,697	5,187	**2,002,137**
სულ მიმდინარე და არაგაუფასურებული	4,409,643	117,081	25,869	**4,552,593**
ვადაგადაცილებული და არაგაუფასურებული				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	290,997	41,303	-	**332,300**
30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	149,052	-	2,393	**151,445**
60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	130,271	23,828	-	**154,099**
90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	15,163	-	-	**51,589**
180-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	-	-	-	**113,136**
სულ ვადაგადაცილებული და არაგაუფასურებული	**585,483**	**65,131**	**2,393**	**653,007**
ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	19,734	129,828	-	149,562
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	**19,734**	**129,828**	**-**	**149,562**
სესხების საბალანსო ღირებულება	**5,014,860**	**312,040**	**28,262**	**5,355,162**
მინუს გაუფასურების ანარიცხები	(35,881)	(139,370)	(718)	(175,969)
სულ გაცემული სესხები	**4,978,979**	**172,670**	**27,544**	**5,179,193**

სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	საბლანკო სესხები	სულ
მიმდინარე და არაგაუფასურებული				
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - ახალი კლიენტები	2,806,136	78,435	5,524	**2,890,095**
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები - 1 წელზე მეტი საკრედიტო ისტორიით	1,829,845	-	-	**1,907,854**
სულ მიმდინარე და არაგაუფასურებული	4,635,981	156,444	5,524	**4,797,949**
ვადაგადაცილებული და არაგაუფასურებული				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	354,463	-	-	**354,463**
30-დან 60 დღემდე ვადაგადაცილებული	180,208	56,127	-	**236,335**
60-დან 90 დღემდე ვადაგადაცილებული	66,927	36,853	-	**103,780**
90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	28,356	77,072	654	**106,083**
180-დან 360 დღემდე ვადაგადაცილებული	3,903	47965	-	**51,868**
სულ ვადაგადაცილებული და არაგაუფასურებული	**633,857**	**218,017**	**654**	**852,529**
ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	2,821	137,723	-	140,544
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	**2,821**	**137,723**	**-**	**140,544**
სესხების საბალანსო ღირებულება	**5,272,659**	**512,184**	**6,178**	**5,791,021**
მინუს გაუფასურების ანარიცხები	(31,033)	(157,926)	(438)	(189,397)
სულ გაცემული სესხები	**5,241,626**	**354,258**	**5,740**	**5,601,624**

მისო იყენებს ბასს 39-ით (“ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება”) გათვალისწინებულ პორტფელის ანარიცხების მეთოდს, და ქმნის პორტფელის ანარიცხებს იმ გაუფასურების ზარალისთვის, რომელიც მისოს მიადგა, მაგრამ ანგარიშგების პერიოდის ბოლომდე ინდივიდუალურ სესხთან დაკავშირებით კონკრეტულად არ დადგენილა. მისოს პოლიტიკა ითვალისწინებს თითოეული სესხის “მიმდინარე და არაგაუფასურებულის” კატეგორიისთვის მიკუთვნებას, მანამ სანამ სესხის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებას არ მოიპოვებს.

ის ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც მისო განიხილავს იმის დასადგენად, არის თუ არა სესხი გაუფასურებული, არის სესხის ვადაგადაცილებების სტატუსი, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა და შესაბამისი უზრუნველყოფის (მისი არსებობის შემთხვევაში) რეალიზებადობა. შედეგად, მისო ზემოთ წარმოადგენს იმ სესხების ვადიანობის ანალიზს, რომლებიც ინდივიდუალურად გაუფასურებულადაა მიჩნეული. მიმდინარე და არაგაუფასურებული, მაგრამ განახლებული სესხები წარმოადგენს სესხების საბალანსო ღირებულებას, რომლის პირობები იყო გადახედილი და რომლებიც სხვა შემთხვევაში იქნებოდა ვადაგასული ან გაუფასურებული. ვადაგადაცილებულ, მაგრამ არაგაუფასურებულ სესხებს წარმოადგენს ის უზრუნველყოფილი სესხები, რომელთა უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულება საკმარისია სესხის ძირისა და პროცენტების დასაფარად. ვადაგადაცილებულად, მაგრამ არაგაუფასურებულად ასახული თანხა წარმოადგენს ამგვარი სესხების ჯამს.

ძვირფასი ლითონები დაგირავებულია ბანკიდან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად (იხილეთ მე-16 განმარტებითი შენიშვნა).

მე-20 განმარტებით შენიშვნაში განხილულია ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

13 წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან

	31დეკემბერი 2017	**31დეკემბერი 2016**
მოთხოვნა შპს "ინტელ ექსპრეს ჯორჯიასგან"	436,851	134,716
დავალიანება შპს "ინტელ ექსპრეს ჯორჯიასადმი"	-	-
სხვა	(4,302)	(3,971)
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	**432,549**	**130,745**

მე-20 განმარტებით შენიშვნაში განხილულია ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

14 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ფული სალაროში	857,884	1,062,680
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	260,742	131,539
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**1,118,626**	**1,194,219**

მე-20 განმარტებით შენიშვნაში განხილულია ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

15 მფლობელთა კაპიტალი

მისოს დამფუძნებლების 2008 წლის 31 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად, მისოს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ფულადი სახით შესავსები 250,000 ლარით.

გაცემულმა დივიდენდმა 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 233,946 ლარი (2016: 285,263 ლარი).

16 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
გრძელვადიანი		
გრძელვადიანი სესხები ბანკებისგან	-	-
გრძელვადიანი სესხები ფიზიკურად პირებისგან	1,648,309	1,058,720
სულ გრძელვადიანი სესხები	**1,648,309**	**1,058,720**
მოკლევადიანი		
მოკლევადიანი სესხები ბანკებისგან	2,929,364	2,704,142
მოკლევადიანი სესხები ფიზიკური პირებისგან	-	1,249,834
სულ მოკლევადიანი სესხები	**2,929,364**	**3,953,976**
სულ სესხები	**4,577,673**	**5,012,696**

შპს მისო „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ბანკებისგან მიღებული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება შემდეგი სესხებისგან:

	დაფარვის თარიღი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ვალუტაში	სესხის ძირი ლარში	დარიცხული პროცენტი	სულ
სს "ტერაბანკი"	13.09.2018	15%	ლარი	-	440,000	3,146	443,146
სს "ტერაბანკი"	09.02.2018	15.9%	ლარი	-	818,000	10,933	828,933
სს "ტერაბანკი"	27.09.2018	14.5%	ლარი	-	260,000	1,859	261,859
სს "ტერაბანკი"	06.01.2018	12%	აშშ დოლარი	5,000	12,961	43	13,004
სს "ტერაბანკი"	11.06.2018	15%	ლარი	-	872,000	9,397	881,397
თიბისი ბანკი	20.08.2018	15.9%	ლარი	-	500,000	1,024	501,024
სულ ბანკებისგან მიღებული სესხები				**5,000**	**2,902,961**	**26,403**	**2,929,364**

ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება შემდეგი სესხებისგან:

	დაფარვის თარიღი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ვალუტაში	ეკვივალენტი ლარში
ზვიად გუბელაძე	01.01.2019	13%	ლარი	10,000	10,000
ზვიად გუბელაძე	01.01.2019	9%	აშშ დოლარი	100,000	259,220
გიორგი ქობულაძე	01.01.2019	13%	ლარი	28,000	28,000
არჩილ მაჭავარიანი	01.01.2019	12%	ევრო	1,013	3,145
გიორგი ახვლედიანი	01.01.2019	9%	აშშ დოლარი	100,000	259,220
ქრისტინე ბაღდავაძე	01.01.2019	9%	აშშ დოლარი	270,000	699,894
ნანა მდივნიშვილი	01.01.2019	9%	აშშ დოლარი	150,000	388,830
სულ ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები				**659,013**	**1,648,309**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკიდან (სს„ტერაბანკი“) მიღებული სესხები უზრუნველყოფილია გაცემული სესხებისთვის დაგირავებული ძვირფასი ლითონებით, რომელზეც პროცენტი გადასახდელია ყოველთვიურად და ძირი - დაფარვის თარიღში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხები შედგება არაუზრუნველყოფილი სესხებისგან საპროცენტო განაკვეთით - 9%-24% ძირითადი თანხის დაფარვა ხდება ხელშეკრულების ვადის ბოლოს, ხოლო პროცენტის ყოველთვიურად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საპროცენტო ვალდებულება საბანკო სესხებზე შეადგენს 26,403 ლარს.

2017 წელს გადახდილმა პროცენტმა შეადგინა 585,696 ლარი (2016: 601,796 ლარი).
მე-20 განმარტებით შენიშვნაში განხილულია ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

17 გადავადებული მოგების გადასახადი

	31 დეკემბერი 2017	**31დეკემბერი 2016**
გადავადებული საგადასახადო აქტივი	7,115	6,439
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(3,997)	(5,708)
წმინდა ბალანსი	**3,118**	**731**

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები (იხ. შენიშვნა 8), რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ზემოხსენებული ცვლილებებიდან გამომდინარე, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოითვლება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე სავარაუდო ღირებულების მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილები, თითოეული ტიპის დროებით სხვაობასთან მიმართებაში, ასახავენ გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებას პერიოდის განმავლობაში.

გადავადებული საგადასახადო აქტივი	სხვა სრული შემოსავალი	მოგება ან ზარალი	სულ
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**9,444**	**9,444**
მიღებული სესხები	-	2,364	2,364
გაცემული სესხები	-	(5,369)	(5,369)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**6,439**	**6,439**
მიღებული სესხები	-	(51)	(51)
გაცემული სესხები	-	727	727
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**7,115**	**7,115**

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	სხვა სრული შემოსავალი	მოგება ან ზარალი	სულ
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(18,739)**	**(18,739)**
ძირითადი საშუალებები	-	13,031	13,031
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(5,708)**	**(5,708)**
ძირითადი საშუალებები	-	1,711	1,711
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**(3,997)**	**(3,997)**

18 ფინანსური რისკების მართვა

მისოში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა ფასის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს.

ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირება საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს მისოს ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან კონტრაგენტი დროულად ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს მისოს მიერ კონტრაგენტებზე გაცემული სესხებიდან და ასევე მისოს მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საკრედიტო რისკის მიმართ მისოს მაქსიმალური მგრძნობიარობა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. აქტივების და ვალდებულებების ურთიერთჩათვლის შესაძლებლობას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა პოტენციური საკრედიტო რისკის შემცირებისთვის. გარანტიებთან და კრედიტის გაცემის ვალდებულებებთან დაკავშირებით, მაქსიმალური საკრედიტო რისკი შემოიფარგლება ვალდებულების თანხით.

მისო მის მიერ აღებული საკრედიტო რისკის დონეებს განსაზღვრავს ერთი მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფების მიხედვით აღებული რისკის მოცულობაზე ლიმიტების დადგენით. საკრედიტო რისკის დონეზე დადგენილი ლიმიტების გადახედვა ხორციელდება საჭიროებისამებრ. ლიმიტების დაცვაზე მონიტორინგი ხორციელდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

საკრედიტო რისკის მართვა აგრეთვე ხდება უზრუნველოფის და იურიდიული და ფიზიკური პირების გარანტიების მეშვეობით.
მისო არ იყენებს ოფიციალურ შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემას საკრედიტო რისკის მიმართ მგრძნობიარობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად. მენეჯმენტი ახორციელებს ვადაგადაცილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს.
მისო განიხილავს დაუფარავი სესხების ვადიანობის ანალიზს და ახორციელებს ვადაგადაცილებული ნაშთების მონიტორინგსა და შემდგომ კონტროლს. ამიტომ
მენეჯმენტის აზრით სათანადოა საკრედიტო რისკის შესახებ ვადიანობისა და სხვა ინფორმაციის წარმოდგენა.

საბალანსო აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
	ნაშთი	%	ნაშთი	%
ფიზიკური პირები				
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	5,014,860	93.65%	5,272,659	91.05%
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	312,040	5.82%	512,184	8.84%
საბლანკო სესხები	28,262	0.53%	6,178	0.11%
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	**5,355,162**	**100%**	**5,791,021**	**100%**
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**5,355,162**	**100%**	**5,791,021**	**100%**

ზემოთ მოცემული ცხრილი ასახავს მისოს საკრედიტო რისკების მაქსიმალურ მგრძნობელობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაც არ არის გათვალისწინებული უზრუნველყოფა და კრედიტის დაცვის სხვა ზომები. საბალანსო აქტივების საკრედიტო მგრძნობიარობა დაფუძნებულია საბალანსო ღირებულებაზე რომელიც მითითებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საბაზრო რისკი. მისო განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში, (ბ) ვალუტაში, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი. მისოზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს სავალუტო რისკის დონეზე და მთლიანობაში ერთდღიან და რამდენიმედღიან პოზიციებზე, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მისოს მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	2,430,159	1,620,125	810,034
ევრო	538,935	8,657	530,278
სხვა	640	-	640
სულ	**2,969,734**	**1,628,782**	**1,340,952**

	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	4,408,162	3,306,690	1,101,472
ევრო	383,505	10,996	372,509
სხვა	5,662	-	5,662
სულ	**4,797,329**	**3,317,686**	**1,479,643**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობიარობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებისას ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

	31 დეკემბერი 2017
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	81,003
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	(81,003)
ევროს 10%-თ გამყარება	53,027
ევროს 10%-თ გაუფასურება	(53,027)

	31 დეკემბერი 2016
	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-თ გამყარება	110,147
აშშ დოლარის 10%-თ გაუფასურება	(110,147)
ევროს 10%-თ გამყარება	37,251
ევროს 10%-თ გაუფასურება	(37,251)

გარდა მისოს მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა მისოს კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. ეს რისკი გაანგარიშებული იყო მისოს საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. მისოზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი.

მისო ახორციელებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია საპროცენტო განაკვეთები მენეჯმენტის საკვანძო პერსონალის მიერ განხილული ანგარიშების საფუძველზე.

წლიურ %-ში	2017			2016		
	ლარი	აშშ დოლარი	**ევრო**	**ლარი**	**აშშ დოლარი**	**ევრო**
ფინანსური აქტივები						
გაცემული სესხები	12%-36.5%	12%-43%	**-**	12%-37%	12%-43%	24%-30%
ფინანსური ვალდებუე-ბები						
მიღებული სესხები	14.5%-16%	12%-24%	12%	14.5%-16%	12%-24%	12%

გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	საქართველო	**OECD ქვეყნები**	**სულ**
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,118,626	-	**1,118,626**
გაცემული სესხები	5,179,193	-	**5,219,669**
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	432,549	-	**432,549**
სხვა ფინანსური აქტივები	9,850	-	**9,850**
სულ ფინანსური აქტივები	**6,740,218**	**-**	**6,740,218**
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	4,577,673	-	4,577,673
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**4,577,673**	**-**	**4,577,673**
წმინდა პოზიცია	**2,162,545**	**-**	**2,162,545**

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისოს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	საქართველო	OECD ქვეყნები	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,194,219	-	**1,194,219**
გაცემული სესხები	5,601,624	-	**5,601,624**
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	130,744	-	**130,744**
სხვა ფინანსური აქტივები	17,203	-	**17,203**
სულ ფინანსური აქტივები	**6,943,790**	**-**	**6,943,790**
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	5,012,696	-	5,012,696
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,012,696**	**-**	**5,012,696**
წმინდა პოზიცია	**1,931,094**	**-**	**1,931,094**

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება სესხების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებისა და საპროცენტო განაკვეთების დამთხვევა ან დარეგულირებული დაუმთხვევლობა არსებითად მნიშვნელოვანია ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, მისო აწარმოებს კლიენტის და მისოს ოპერაციებთან დაკავშირებული მომავალი მოსალოდნელი ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს, რაც არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილი.

შპს მისო „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-	-	-	-	-
გაცემული სესხები	22%	2,740,415	1,660,973	733,572	44,234	5,179,194
სულ პროცენტიანი აქტივები		**2,740,415**	**1,660,973**	**733,572**	**44,234**	**5,179,194**
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	1,118,626	-	-	-	1,118,626
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	-	432,549	-	-	-	432,549
სხვა ფინანსური აქტივები	-	9,850	-	-	-	9,850
სულ ფინანსური აქტივები		**4,301,440**	**1,660,973**	**733,572**	**44,234**	**6,740,219**
ფინანსური ვალდებულებები						
მიღებული სესხები	18%	2,929,364	1,648,309	-	-	4,577,673
სულ პროცენტიანი ვალდებულებები		**2,929,364**	**1,648,309**	**-**	**-**	**4,577,673**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები		**2,929,364**	**1,648,309**	**-**	**-**	**4,577,673**
ლიკვიდურობის პოზიცია		1,372,076	12,664	733,572	44,234	2,162,546

შპს მისო „მონეტა ექსპრეს ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები						
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	-	-	-	-	-
გაცემული სესხები	22%	5,394,664	199,519	7,441	-	5,601,624
სულ პროცენტიანი აქტივები		**4,833,112**	**5,394,664**	**199,519**	**7,441**	**-**
ფული და ფულის ეკვივალენტები		1,194,219	-	-	-	1,194,219
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან		130,744	-	-	-	130,744
სხვა ფინანსური აქტივები		17,203	-	-	-	17,203
სულ ფინანსური აქტივები		**6,736,830**	**199,519**	**7,441**	**-**	**6,943,790**
ფინანსური ვალდებულებები						
მიღებული სესხები	18%	4,248,656	794,040	-	-	5,042,696
სულ პროცენტიანი ვალდებულებები		**3,652,898**	**4,248,656**	**794,040**	**-**	**-**
სხვა ფინანსური ვალდებულებები		-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები		**4,248,656**	**794,040**	**-**	**-**	**5,042,696**
ლიკვიდურობის პოზიცია		2,488,174	(594,521)	7,441	-	**1,901,094**

19 პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

	2017	2016
1 წლის განმავლობაში	143,635	119,125
1 წლიდან 5 წლამდე პერიოდში	718,175	232,848
5 წლის შემდეგ	75,600	45,927
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები	**939,426**	**397,900**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისოს ჰქონდა შემდეგი საოფისე ფართები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით:

17.12 კვ.მ. ქუთაისი, რუსთაველისა და წერეთლის ქუჩა ½ - 2020 წლის 20 აგვისტომდე;
62.35 კვ.მ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 28 – 2018 წლის 31 დეკემბრამდე;
42.84 კვ.მ. ქუთაისი, ბუხაიძის მე-2 მ/რ 23 – 2023 წლის 18 აპრილამდე;
41.43 კვ.მ. ქუთაისი, ნიკეას ქ. 19ბ - 2024 წლის 1 მარტამდე;
15 კვ.მ. ქუთაისი, 26 მაისის ქ. 10 – 2019 წლის 1 მაისმდე;
15 კვ.მ. წყალტუბო, ავალიანის ქ. 28 – 2020 წლის 16 იანვრამდე;
28.04 კვ.მ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 57-59 – 2018 წლის 20 ივნისამდე;
32 კვ.მ. ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. 37 – 2020 წლის 20 აგვისტომდე.

20 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება მისოს მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში, და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება. საქართველო აგრძელებს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლების გამოვლენას და ეკონომიკური პირობები ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კვოტირება შეიძლება იყოს მოძველებული და ასახავდეს გაყიდვის ტრანზაქციებს დაბალ ფასში და არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დადგენისას მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა სახის ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია.

მისო იყენებს შეფასების მეთოდების შემდეგ იერარქიულ სტრუქტურას ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისა და განსაზღვრისთვის:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვისთვის განკუთვნილი ფასინი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. ამ ინსტრუმენტებს მოიცავს დონე 1.

დონე 2: იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს.

დონე 3: იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკვოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვნებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს სამართლიანი ღირებულების წარმოდგენილი იერარქიის დონის მიხედვით:

	2017			
	დონე 1	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,118,626	-	-	1,118,626
გაცემული სესხები	-	-	5,179,193	5,179,193
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	-	-	432,549	432,549
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	9,850	9,850
სულ ფინანსური აქტივები	1,118,626	**-**	**5,621,592**	**6,740,218**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	4,577,673	4,577,673
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**4,577,673**	**4,577,673**

	2016			
	დონე 1	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,194,219	-	-	1,194,219
გაცემული სესხები	-	-	5,601,624	5,601,624
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	-	-	130,744	130,744
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	17,203	17,203
სულ ფინანსური აქტივები	**1,194,219**	**-**	**5,749,571**	**6,943,790**
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	-	5,012,696	5,012,696
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**5,012,696**	**5,012,696**

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, რომელიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით შემდეგია:

	2017		2016	
	საბალანსო ღირებუ-ლება	სამარ-თლიანი ღირებუ-ლება	საბალანსო ღირებუ-ლება	სამარ-თლიანი ღირებუ-ლება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,118,626	1,118,626	1,194,219	1,194,219
გაცემული სესხები	5,179,193	5,179,193	5,601,624	5,601,624
წმინდა მოთხოვნა ფულადი გზავნილებით მომსახურებიდან	432,549	432,549	130,744	130,744
სხვა ფინანსური აქტივები	9,850	9,850	17,203	17,203
სულ ფინანსური აქტივები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით	**6,740,218**	**6,740,218**	**6,943,790**	**6,943,790**

	2017		2016	
	საბალანსო ღირებუ-ლება	სამარ-თლიანი ღირებუ-ლება	საბალანსო ღირებუ-ლება	სამარ-თლიანი ღირებუ-ლება
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	4,577,673	4,577,673	5,012,696	5,012,696
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით	**4,577,673**	**4,577,673**	**5,012,696**	**5,012,696**

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (3 თვეზე ნაკლები) უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. მისოს ყველა ფინანსური აქტივი, გარდა კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ფინანსური ვალდებულებებისა, არის ან ლიკვიდური ან აქვთ დაფარვის სამთვიანი ვადა საანგარიშო თარიღიდან.

21 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად განიხილებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორის კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

	2017	2016
ტრანზაქციები:		
საპროცენტო შემოსავალი		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მისი მფლობელი	-	-
სხვა შემოსავალი		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მისი მფლობელი	-	-
საპროცენტო ხარჯი		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მისი მფლობელი		
საოპერაციო ხარჯი		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მისი მფლობელი	-	-
იჯარა		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მისი მფლობელის	34,528	
-		

ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2017**	**2016**
გაცემული სესხები		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მისი მფლობელი	-	-
მიღებული სესხები		
-მისოს ხელმძღვანელობის მთავარი წარმომადგენლები ან მისი მფლობელი	528,440	2,210,078

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2017	**2016**
მოკლევადიანი ანაზღაურება – ხელფასები და ბონუსები	172,920	176,220
სულ	**172,920**	**176,220**

22 შესადრისი მონაცემების რეკლასიფიკაცია

2016 წლის შესადარისი პერიოდისთვის ჯარიმების მთლიანმა ჯამმა შეადგინა 143,870 რომელიც რეკლასიფიცირდა საპროცენტო შემოსავლიდან სხვა საოპერაციო შემოსავალში. ხოლო 2017 წლის შემოსავლებმა ჯარიმებიდან შეადგინა 233,059 ლარი.

23 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებასთან დაკავშირებით ცვლილება გამოიცა 2018 წლის 11 იანვარს, რომლის საფუძველზეც მისოსთვის სავალდებულოა საწესდებო კაპიტალის შევსება 500,000 ლარამდე, 2018 წლის 1 სექტემბრამდე და 1,000,000 ლარამდე 2019 წლის 1 ივლისამდე. მენეჯმენტის შეფასებით ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მობილიზებული იქნება შესაბამისი რესურსები, რომ დაკმაყოფილდეს ეროვნული ბანკის აღნიშნული მოთხოვნა.

2018 წლის იანვარში მისომ გახსნა ახალი ფილიალი ქ. თბილისში, გურამიშვილის #34.

2018 წლის განმავლობაში ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მისომ გასცა 136,000 ლარი დივიდენდი დამფუძნებლებზე.